საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1119 2016 წლის 13 ივნისი ქ. თბილისი

შპს „ვ. სანიკიძის სახელობის ომის ვეტერანთა კლინიკური ჰოსპიტალის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100%-იანი წილის მართვის უფლებით, პირდაპირი გადაცემის ფორმით, სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურისათვის გადაცემის შესახებ

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, შპს „ვ. სანიკიძის სახელობის ომის ვეტერანთა კლინიკური ჰოსპიტალის“ (ს/კ: №202054908) სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100%-იანი წილი მართვის უფლებით, პირდაპირი გადაცემის ფორმით, უსასყიდლოდ გადაეცეს სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურს, 5 წლის ვადით.

2. ამ განკრგულების შესრულების მიზნით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი